

# რატომ ბილინგვური სწავლება?

განათლების კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ყოველწლიური ერთობლივი კონფერენცია და პროფესიული განვითარების დღე

მომხსენებლები: ლიკა ხვადაგიანი და გიგი ბარჯაძე  
განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები

2024



EAST  
EUROPEAN  
UNIVERSITY



# განსახილველი საკითხები:

- ▶ ბილინგვური ზოგადი არსი და მიზანი;
- ▶ ბილინგვური განათლების ისტორიისთვის;
- ▶ ზოგადი მახასიათებლები;
- ▶ დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- ▶ ბილინგვური განათლება საქართველოში;
- ▶ კვლევის შედეგები
- ▶ დასკვნა;

# ზოგადი არსი და მიზანი

ბილინგვურ განათლებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და მისი აღმოჩენა შესაძლებელია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და დროში. ბილინგვური განათლება წარმოადგენდა და წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათათვის უცხო ქვეყანაში განვითარების, ადაპტაციისა და განსხვავებულ კულტურასთან მაქსიმალურად მორგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს;



# ბილინგვური განათლების წარმოშობა

- ▶ ბილინგვური განათლება მე-20 საუკუნეში გამოჩნდა. თუმცა, ისტორიაში არსებობს ბილინგვური განათლების რამდენიმე ადრინდელი მაგალითი, განსხვავებით გავრცელებული რწმენისგან, რომელიც ამტკიცებს, რომ ორენოვანი განათლება დაიწყო 1900-იან წლებში;
- ▶ პირველი თანამედროვე ბილინგვური სკოლების პროგრამა მსოფლიოში, რომელსაც მხარს უჭერდა ქვეყნის მთავრობის კონტროლი და კოორდინაცია, დაიწყო 1950 წელს გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში, ლაუზიცში. ამ განსაკუთრებულ რეგიონს დახურული კავშირი ჰქონდა პოლონეთთან და ასე ჩაეყარა საფუძველი სკოლებში ბილინგვურ განათლებას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ეთნიკურ უმცირესობათათვის სწავლების გაადვილება

## ბილინგვური განათლების წარმოშობა


- ბილინგვური განათლება აშშ-ში სათავეს იღებს ქვეყნის ადრეული ისტორიიდან, როდესაც ევროპელმა დევნილებმა დააარსეს სკოლები, რომლებშიც ასწავლიდნენ როგორც ინგლისურ, ასევე სხვადასხვა ემიგრანტთა თემის ენებს.
- პენსილვანიის გერმანულენოვანი თემები
- ორენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები ამერიკის შეერთებულ შტატებში





## ბილინგვური განათლების ორი ძირითადი სახე

- მახასიათებლებისა და მიზნის მიხედვით დღეისათვის გამოყოფილია ბილინგვური განათლების ორი ძირითადი სახე: შემანარჩუნებელი და ტრანზიტული განათლება.
- ტრანზიტული განათლება გულისხმობს ეთნიკურ უმცირესობათა მოსწავლეებისათვის მშობლიური ენიდან, სახელმწიფო დომინანტურ ენაზე მარტივად გადასვლის უზრუნველყოფას და ამის მოსწავლის კულტურულ და სოციალურ ასიმილაციას;
- ხოლო შემანარჩუნებელი ბილინგვური განათლება გულისხმობს მოსწავლეთა მიერ მათი მშობლიური კულტურული იდენტობისა და ენის შენარჩუნების მაქსიმალურ ხელშეწყობას ;



მახასიათებლების განხილვისას მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნეს ის, რომ ბილინგვური განათლება ხუთ მთავარ კომპონენტს უნდა აკმაყოფილებდეს:

- 1. ბიკულტურალიზმი, ან მულტიკულტურალიზმი, რომელიც გულისხმობს უნარს, რომ სრულიად სრულფასოვნად გრძნობდე თავს საკუთარი ეთნიკური კულტურის წიაღში და, ასევე, დომინანტი კულტურის წიაღშიც;
- 2. მაღალპროფესიული ბილინგვიზმი, ანუ ორი (ან მეტი) ენის სრულყოფილი ფლობა;
- 3. ორი (ან მეტი) კულტურის ფუნდამენტური ზიარება და კულტურათა შერწყმა;
- 4. კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სხვა კულტურისა და ენის მატარებლებისადმი;
- 5. ეთნიკური უმცირესობებისათვის თანასწორი განათლების მიღების საშუალება;



მსოფლიოს მოსახლეობის თვალსაზრისით, ბილინგვიზმი უფრო გავრცელებულია, ვიდრე მონოლინგვიზმი. ლინგვისტური კვლევების მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 60%-ს შეუძლია თავისუფლად ისაუბროს ორ ან მეტ ენაზე, ხოლო ადამიანთა 40% საუბრობს მხოლოდ ერთზე. მეორე ენის სწავლა ძირითადად უფრო ადვილია ბავშვებისთვის, ვიდრე უფროსებისთვის, რაც კიდევ ერთი მიზეზია სკოლებში ბილინგვური განათლების დანერგვის უპირატესობის დასამტკიცებლად.;



# დადებითი მხარეები

- სკოლებში ბილინგვური განათლების პროგრამის განხორციელებას უამრავი უპირატესობა აქვს, როგორც გონებრივი, ასევე პროფესიული. მრავალი კვლევა ვარაუდობს, რომ „ბილინგვიზმის ხელშეწყობას, დაწყებული ყველაზე პატარა ასაკიდან, შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი და ღრმა სარგებელი“. ბილინგვური განათლების განხორციელების ყველაზე გავრცელებული და საინტერესო უპირატესობები შემდეგნაირად შეიძლება განვიხილოთ:
- გაზრდილი კოგნიტური ფუნქცია-
  - პრობლემების გადაჭრის, შემოქმედებითად და კრიტიკულად აზროვნების უნარის გაზრდაში;
  - გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრებაში;
  - გაძლიერებული ლინგვისტური ცნობიერების ჩამოყალიბებაში;
  - ცნებების ახალ სიტუაციებში გამოყენების უნარის გაზრდაში;
  - გაუმჯობესებული ფოკუსირებასა და გადაწყვეტილების მიღების უნარის მაქსიმალურ განვითარებაში;
- კულტურული და სოციალური უნარების გაზრდა;
- ეკონომიკური უპირატესობების ზრდა;
- გაუმჯობესებული მეხსიერება და დამახსოვრების უნარი

# უარყოფითი მხარეები

- რა თქმა უნდა, ბილინგვურ განათლებას ბევრი უპირატესობა აქვს, მას ასევე აქვს გარკვეული პოტენციური უარყოფითი მხარეები. ეს ნაკლოვანებები შეიძლება განსხვავდებოდეს ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკური კონტექსტისა და განხორციელების მიხედვით. მათ შორის, განხილულია ის ნაკლოვანებები რომელიც დაკავშირებულია ორენოვან განათლებასთან:
- შეზღუდული რესურსები:
- სტიგმატიზაცია:
- თანმიმდევრულობის ნაკლებობა;
- პოტენციური ენობრივი დისბალანსი;
- მშობლების ჩართულობა;
- შეზღუდული ენების ვარიანტები;
- მასწავლებელთა ხელმისაწვდომობა;
- საგანმანათლებლო მიზნები

# ბილიგვური განათლება საქართველოში

- ▶ იდენტობის კრიზისის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, იდენტობის ტრანსფორმაციის ახალი ტალღა დაიწყო, რომელიც ბილინგვურ განათლებას სულ უფრო მეტად უკავშირდებოდა. ამასთან, მუდმივად იყო გაზგასმული ბილინგვური განათლების მიზანი, რაც, ერთის მხრივ, სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ათვისებას, მეორეს მხრივ კი - უმცირესობათა ენების შენარჩუნებასა და განვითარებაზე ზრუნვას წარმოადგენს(და).
- ▶ 2022 წლის მონაცემებით საქართველოში სულ 207 არაქართულენოვანი სკოლაა, მათ შორის:
  - 117 სომხურენოვანი (57%);
  - 79 აზერბაიჯანულენოვანი (38%);
  - 11 რუსულენოვანი (5%);



# ბილიგვური განათლება საქართველოში

- ▶ 2010 წლიდან სახელმწიფო იწყებს არაქართულენოვან სკოლებში ბილინგვური პროგრამების პოლიტირებას, რაც, რა თქმა უნდა, უმცირესობათა ინტეგრაციისა და განათლების მიღების საკითხს უკავშირდება;
- ▶ სახელმწიფო პოლიტიკის ინიციატივით დაიწყო არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის მხარდამჭერი მულტილინგვური პროგრამების განხორციელება. განათლების სამინისტრომ დაგეგმა და ეფექტურად განახორციელა სპეციალურად ბილინგვური პროგრამის მასწავლებლებისათვის ტრენინგები და მოხდა მათი გადამზადება;
- ▶ საქართველოში ბილინგვური განათლების მიმართულების გაანალიზებისას აუცილებელია აღინიშნოს 2012 წელი, როდესაც შემუშავდა ბილინგვურ მასწავლებელთა სტანდარტები და შესაბამისი სახელმძღვანელოები. ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვადასხვა გამომცემლობათა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, ყველა საგნის სახელმძღვანელოთა 30% ითარგმნა ქართულ ენაზე, ხოლო დარჩენილი 70% კი სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე.



# ბილიგვური განათლება საქართველოში

- ▶ საქართველოში ბილინგვური განათლების პროგრამის წარმატებით დანერგვის ერთ-ერთი მცდელობა დაკავშირებულია 2015 წელს განხორციელებულ რიგ ღონისძიებებთან. აღნიშნულ პერიოდში შემუშავებულ იქნა ბილინგვური განათლების მოდელი და შესაბამისად შეიქმნა დაწყებითი საფეხურებისათვის საჭირო სასწავლო რესურსთა მცირე ნაწილი. ნახსენები მოდელის სკოლებში პოლიტირება კი გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით 5 არაქართულენოვან სკოლაში დაიწყო (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2020);
- ▶ 2017 წლიდან დღემდე, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის ოფისის მხარდაჭერითა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის მეშვეობით ხორციელდება პროექტი დაწყებითი საფეხურებისათვის. აღნიშნული პროექტი გავრცელებულია რამდენიმე არაქართულენოვან სკოლაზე, რომლებშიც სწავლა სპეციალურად დამუშავებული მასალითა და პედაგოგთა პროფესიული გადამზადების მეშვეობით მიმდინარეობს.
- ▶ მულტილინგვური განათლების მიმართულებით ასევე აღსანიშნავია 2018 წელს სასწავლო გეგმის შექმნა - „ენობრივი განათლება არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მცდელობას, მაქსიმალურად ზუსტად და თანმიმდევრულად განისაზღვროს ბილინგვური სწავლების მიდგომები. თუმცა დოკუმენტს ბილინგვურს სწავლების დანერგვის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები არ გადაუჭრია (საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022)

# ბილიგვური განათლება საქართველოში

2022-2023 სასწავლო წელს 41 არაქართულენოვანი სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სწავლება ბილინგვური პროგრამით დაიწყო, რაც, რა თქმა უნდა, ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესებისთვისაა მნიშვნელოვანი. როგორც უკვე აღინიშნა, ბილინგვური პროგრამის მიდგომა მშობლიური ენის სწავლების გაძლიერებას, ქართული ენისა და საგნის ინტეგრირებულად სწავლებას გულისხმობს, რაც უმნიშვნელოვანესია ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის;

2022 წელს პირველად, არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური ენის მასწავლებლებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებში კვალიფიკაციის დადასტურების გამოცდა ჩატარდა, რაც არა მარტო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე აისახება, არამედ მნიშვნელოვნად განავითარებულ ბილინგვურ საგანმანათლებლო პროგრამათა წარმატებას, რადგან პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი სწორედ კვალიფიცირებულ მასწავლებელთა ნაკლებობაა (ჩხიტუნიძე, 2023)

# დასკვნა

ბილინგვური განათლების ძირითადი მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ რამდენიმე პერსპექტივიდან, მათ შორის შემეცნებითი, კულტურული და სოციალური სარგებლიანობით.

- გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრება;
- გაძლიერებული ენობრივი უნარები;
- კულტურული და გლობალური გაგება;
- კულტურული იდენტობის შენარჩუნება;
- კულტურათაშორისი კომპეტენცია;
- გლობალური პერსპექტივა;
- საგანმანათლებლო თანასწორობა;
- კარიერული შესაძლებლობები;
- ენის შენარჩუნება და აღორძინება;
- დავიწყების პირას მყოფი ენების დაცვა;
- მულტილინგვიზმის ხელშეწყობა;
- გაუმჯობესებული კომუნიკაციის უნარები





გმადლობთ ყურადღებისთვის!